საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გაჩეჩილაძე ირინე დოსითეოსის ასული

გაჩეჩილაძე ირინე დოსითეოსის ასული (31. XII. 1921, თბილისი, –), კერამიკოსი. საქართვ. დამს. მხატვარი (1967). 1948 დაამთავრა თბილ. სამხატვრო აკადემია (პედაგოგები დ. ციციშვილი, ზ. მაისურაძე). 1960-იდან იქვე ეწეოდა პედ. მოღვაწეობას. 1949-იდან მონაწილეობდა მხატვართა საერთაშ. (რუსეთი, გერმანია, საფრანგეთი, იტალია, დანია, ნორვეგია, შვეიცარია, ინდოეთი, ირანი, მექსიკა, იუგოსლავია) გამოფენებში. მხატვრული კერამიკის საერთაშ. (პრაღა, 1962; ვალორისი, 1970) გამოფენების დიპლომანტი. გ-ის შემოქმედებამ ხელი შეუწყო მონუმ. კერამიკის დანერგვას საქართველოში. ნამუშევრები: პანოები – „მოსავლის აღება“ (1948), „ვუმღეროთ თბილისს“ (1958, მხატვარმა პირველად გამოიყენა შამოტი, მაიოლიკური საღებავები, ანგობი), ლარნაკი „თამარი“ (1977), მარანი „ხორუმი“ (1970), დეკორატიული თეფშები „გაზაფხული“, „ჩიტები“ (1989) და სხვ.